კვირა 10 აპრილი 1916 წ.

ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეშმაკიკ მათრახი

იუმორისტ: ჟურნალი

№ 15

საალდგომო სანაძლეო

ომი თუ ზავი!

იუდა

პატივახდილი და შეგინებული იესო ბნელ საკანში იჯდა.

ბრბო ჯერაც არ დაშლილიყო და გარედან ყრუო მოისმოდა გაურკვეველი გუგუნი.

უცებ გაიღო საკანის კარი და მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა იესოს მიმცემი ერთი ათორმეტთაგანი, იუდა, მიუახლოვდა იესოს და პირისპირ დაუჯდა.

ოდნავ ღიათ დატოვებულ კარის ჭუჭრუტანაში შემოსული მინათლის შუქი იესოს დაკაწრულ შუბლს ეცემოდა, ოღონ იუდას ზურგში ხვდებოდა, მისი სახე არ მოსჩანდა.

ორივე სდუმდა: იესოც და იუდაც და ეს დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. იესო თავჩაღუნული იჯდა, იუდა კი თვალს არ აშორებდა მას და ცდილობდა შიგ თვალებში ჩაეხედნა.

ბოლოს იესომ აიღო თავი, შეხედა იუდას და თვალი თვალში გაუყარა. იუდა არ მოერიდა მის გამოხედვას და წარბშეუხრელათ მისჩერებოდა.

— აქაც მოხვედიგ — ჰკითხა იესომ.

— შენი ჩრდილი ვარ, მოძღვარო, — მოკლედ უპასუხა იუდამ.

იესომ გაიღიმა.

— შენი ჩრდილი ვარ, მოძღვარო, — უთხრა ხმა მაღლა და აჩქარებით გაიმეორა იუდამ და სხაპა-სხუპით განაგრძო:

— მე იქაც ვიყავ, პილატეს ეზოში... ყველანი ვნახე, შენი მოწაფეები... თვალ-ყურს ვადევნებდი... როდესაც პილატემ ჰკითხა ხალხს. ვინ მოგიტევა თქვენ: იესო თუ ბარაბაო, შენი სახელი არავის უხსენებია... არავის! პეტრეც იქ იყო, იოანეც და სხვებიც, მაგრამ შენი სახელი არავის დაუძახნია!.. შენ ყვავილი ხარ, მოძღვარო, შენა ხარ სურნელოვანი და მშვენიერი ყვავილი... მაგრამ მითხარი: სად უფრო ხარობს ყვავილი, სად უფრო ლამაზათ იშლება სუფთა მიწაზე თუ დამპალ ნეხვზე?... მე ნეხვი ვარ, მოძღვარო!..

— კმარა, ყადი! წყნარი ხმით, უბრძანა იესომ.

— ჯერ-არა! — მიუგო იუდამ და გაჩუმდა.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ხალხის გუგუნი შესუსტდა და უფრო შორიდან ისმოდა.

იესომ თვალები დახუჭა უძრავათ იჯდა.

— ათ დახუჭე თვალები, მოძღვარო? — ჰკითხა იუდამ: ჩუმი ცქერა გეზიზღება, განა?..

იესომ პასუხი არ გასცა, მაგრამ არც თვალი გაახილა.

— შენთვისაც საზიზღარი ვარ, მოძღვარო? — ჩაილაპარაკა იუდამ და უცებ ზეზე წამოვარდა. გველნაკბენივით იესოს რომ შესძლებოდა ახლა ამ სიბნელეში, გარჩევა, დაინახავდა, რომ ჩვეულებრივ უძრავი და აუშფოთებელი მისი გამომეტყველება ერთბაშათ შეიცვალა: ტუჩები ჩაეტეტკა, ქვევითა ყბა ციებიან კაკივით აუთრთოლდა და ნესტოები დაებერა. ერთ წუთს ასე იდგა ერთ ადგილას, მიქედილივით, იესოსავით თვალდახუჭული, ბოლოს ძაღლის მსგავსათ დაიბერტყა თავი და გაცხარებით ალაპარაკდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ.

— არა, არა, იესო, მე ჯერ ვერ წავალ აქედან... შენ ღნდა მომისმინო... შენ ვალდებული ხარ, ყური დამიგდო.. განა მე არ ვიცოდი, რომ ყველა შემიძულებდა და შემიზიზღებდა?... განა წინდაწინვე არ ვხედავდი, რომ ქვეყნისთვის თითით საჩვენებელი გავხდებოდი?... საშინელი და შემაძრწუნებელი შევიქნიბოდი არა მარტო იმათთვის, ვინც ახლა ცხოვრობს ქვეყანაზე, არამედ მათი შვილებისა და შვილისშვილებისათვის, სამარადისოთ ვიდრე ადამიანის ხსენება იქნება ქვეყანაზე?.. ჩემი სახელი „იუდა“ დაჩრდილავს კაენის სახელს... რა კაენი, რომელმაც ღვიძლი ძმა მოჰკლა შურის გამო იუდასთან შედარებით, იმ იუდასთან რომელმაც მაცხოვარი გაჰყიდა, ღმერთი გასცა ღალატით? მე ეგ ვიცოდი, მოძღვარო და მაინც არ შევდექი, არ შევკრთი, გავბედე და ბოლომდე მივიყვანე საქმე!.. რას დავეძებდი ქვეყნის მიერ შეზიზღებას, სამარადისოთ შერცხვენას და სახელის გაწბილებას, როდესაც მწამდა, რომ კაცთა ზიზღისა და სიძულვილის სამაგიეროთ, მე მელოდა უაღრესი ჯილდო — შენი სიყვარული მოძღვარო!.. მოძღვარი, ერთი სიტყვაა, მხოლოდ მას რასაც ვერ მისწვდა კაცის გონება!

იესო ეხლა პირდაპირ უცქეროდა იუდას და გაკვირვებით უსმენდა მის ცხარესა და აჩქარებულ ლაპარაკს.

— მე გეთსიმანიის ბაღშიც ვიყავი... ბუჩქებში ვიმალებოდი... მესმოდა მარტოობა შენი სულისა... შენმა საყვარელმა მოწაფეებმა ვერ შეიგნეს იგი... სული შენი მწუხარე იყო ვიდრე სიკვდილამდე, მაგრამ ჩემი სული კიდევ უფრო სწუხდ

რადგან მე ვიზიარებდი შენს ურვასა და მწუხარებას, შენ კი არ იცოდი ჩემი შეწუხება... შენ ევედრებოდი შენს ზეციერ მამას, რათა მას თანაწარეღო შენგან სასუმელი, რომლის შესმას იუდაც გშველოდე; მე კი წინ მედგა ბევრათ უფრო მწარე სასუმელი, რომელიც ნება ყოფლობით ავავსე და მარტო ღნდა შემესვა... მოძღვარო, მითხარი, მითხარი ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი-მესმის თქ--და მე წავალ ისე ამაყად და ბედნიერათ, როგორც შეჰფერის ქრისტეს მიმცემს, იუდა ისკარიოტელს!..

იესო წამოდგა გადადგა ნაბიჯი იუდასაკენ და შიგ თვალებში ჩააცქერდა გულდასმით, თითქო რაღაც უცნაური და ახალი რამ შეამჩნია იუდას აღგზნებულ თვალებშო და შეჩერდა.

— სთქვი, სთქვი, მოძღვარო!—გულის ფანცქალით ევედრებოდა იუდა.

— წადი, იუდა!—წყნარათ უთხრა იესომ.

— არა, შენ არ გჯერა... ვერ წავალ!—უფრო გაცხარებით წამოიძახა იუდამ და განაგრძო:

მოძღვარო, შენ ხარ ძე ღვთისა, თვით ღმერთი, და ვერ ჰხედავ კი იუდას სიყვარულს,, იუდას სიყვარულს ვერ ჰხედავ, მოძღვარო, და პეტრეს, იაკობისა და იოანეს სიყვარულს კი ჰხედავ. მერე, რა არის მათი სიყვარული წინაშე იუდას სიყვარულისა? იუდას ისე უყვარხარ, მოძღვარო, რომ ოცდაათ ვერცხლათ გაგყიდა შენ. იმათ ისე უყვართ თავისი მოძღვარი რომ სამჯერ დაიძინეს გეთსამანიის ბაღში... დაიძინეს, თუმცა იცოდენ, რომ იესოს ჟამი დამდგარი იყო. სასიკვდილოთ გამზადებულმა მოძღვარმა სამჯერ სთხოვა მათ, ნუ დაიძინებთო, და მათ კი სამჯერვე დაიძინეს!.. აი, როგორ უყვართ მათ მოძღვარი!... იუდას ისე უყვარს თავისი მოძღვარი რომ, ეამბორა მას და ამით ამცნო მის დასაჭერათ მოხელეებს, ვინ უნდა შეეპყრათ!... იმათ კი ისე უყვართ, რომ კურდღლებივით გაიქცნენ, როცა მათი მოძღვარი შეიპყრეს... იუდას ისე უყვარს თავისი მოძღვარი, რომ არსად და არავისთან არ იმალება: ყოველგან მაღლა უჭირავს თავი და ამბობს: მე ვარ ის იუდა, იესო რომ გავყიდე ოცდაათ ვერცხლათ, შემიძულეთ ყველამ და თითოეულმა თქვენგანმა ჩამაფურთხეთ პირში, ოღონდ ის კი, ჩემი მოძღვარი შეიყვარეთ და თაყვანი ეცითო! პეტრეს კი, შენ საყვარელ მოწაფეს ისე უყვარხარ, მოძღვარო, რომ რცხვენია და ეშინია შენი სიყვარულის გამხელა და სამგზის უარგყო შენ!.. მე ნეხვი ვარ, უფალო, დამპალი ნეხვი, მაგრამ შენ კი უნდა, გიყვარდე, რადგან შენ, უბადლო ყვავილი ჩემზე გაშალე!

მითხარი მოძღვარო, ის სიტყვა და წავალ!..

იესო უძრავათ იდგა იუდას პირდაპირ და იმავ ცნობის მოყვარეობით და გაკვირვებით უცქეროდა თვალებში, მაგრამ არაფერს კი არ ამბობდა.

უცებ გარეთ რამოდენიმე კაცის ფეხის ხმა და ლაპარაკი მოისმა, მოახლოვდა, მოვიდა კარებთან და კარები გაიღო.

— მითხარი, მოძღვარო!—უკანასკნელათ, სასოწარკვეთილებით დაიკვნესა იუდამ და გაშეშდა იესოს პასუხის მოლოდინში. იესო მას აღარ უყურებდა, და იუდამ, რომელიც ყოველთვის კითხულობდა მის თვალებში აზრისა და გულისთქმას, ახლა ველარაფერი ამოიკითხა.

— ვაიმე!—წამოიძახა იუდამ და კარებისაკენ წავიდა. საკანში შეიარაღებული მხედრები შემოვიდნენ და წინ გადაეღობენ იუდას.

— შენა ხარ იესო ნაზარეველი?— ერთხმათ ჰკითხეს მას რამოდენიმე ხმამ.

— არა! მე იუდა ისკარიოტელი ვარ, იესოს გამცემელი... იესო ნაზარეველი აი იქა სდგას, ანიშნა იუდამ და წასვლა დააპირა.

მხედრებს იუდას შეპყრობაც უნდოდათ, მაგრამ, როცა კარგათ შეხედეს მას, ხმა ამოუღებლივ გაიწ-გამოიწიენ და გზა მისცეს...

იუდამ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, შეჩერდა და მოტრიალდა, როდესაც იესო გამოიყვანეს, იუდა წინ დაუხვდა მას, გააჩერა და ხმა მაღლა გადიხარხარა.

მერე მოწყვეტით იბრუნა, პირი და საჩქაროთ წავიდა.

მეორე დილით, გათენებისას, იუდამ თავი ჩამოიხრჩო.

ნაბუ.

„წითელი კვერცხები“.

ბათუმმა დაჰკარგა
ქალაქის თავი, და
(ის, როგორც ამბობენ
სპარსეთში წავიდა!)
დაგვირჩა უიმოთ
ეგ ცენტრი ზღვის პირის...
წავიდა თავადი
და თვალიც მისტირის.
საგზლად მას უმზითვეს,
მოზრდილი „პენცია“,
რამეთუ ის „თავი“
„წითელი კვერცხია“.

—

ჩვენ ბანკი გავხსენით
პატარა დაბაში...
(ჭყვიში არ გეგონოთ,
ტყაჩირი და ბაში).
ამბობდენ: „ფულს მივცემთ
გლეხს, სოფლის მუშასო...
ჩარჩ ვ ჭრებს, ისედაც
არარა უშავსო,
დღეს ჩარჩებს ეძლევა
ბანკიდან სესხია,
რამეთუ თვით ჩარჩი
„წითელი კვერცხია“!

—

ვსთქვათ რომა, ეშმაკი
მოძღვართა მტერია...
მაგრამ ერთ მღვდელთ-მთავარს
ეს დაუწერია:
„მე თანხას გიგზავნით
და თან გთხოვთ მწარეთო,
ქართლ-კახელ აზნაურთ
ის მოახმარეთო“.

—

_ მივედით ჩვენ ორნი:
დათო და ილია...
(მე გლეხის კონტროლო!
ის, ვაჭრის შვილია!.)
მე სუსტი, იგი კი
კვერცხით, რძით ნაკვები,
ჯან-ღონით აღსავსე
ვაჟკაცად საქები.
მე თითონ მიმიღეს,
მისგან კი ვერცხლია ..
მდიდარი ვაჭარიც
„წითელი კვერცხია!“.

—

მსახური სჭიროდათ
ერთ კანტორაშია...
ბეჯითი...
ერთგული...
ნაცადი თვლაშია.
ითხოვა დათიკომ
ლეომ და გუცამ.
(მას წიგნიც აახლა
კნიაჟნა ნუცამ!)
მიიღეს გიგუცი
უნიჭო... ბეცია,
რადგანაც კნიაჟნა
„წითელი კვერცხია“.

—

გაძვირდა კვერცხები
ქათამთა ნადები,
წვრილ-წვრილი, მომრგვალო,
თეთრი და სადები.
სანაცვლოდ გამრავლდენ
„წითელი კვერცხები“,
რომელთაც მე ეგზომ
მოკრძალვით ვეხები.

ეშმაკი.



ახალი სიტყვა.

მე ბედნიერათ ვგრძნობ ჩემს თავს, რომ ბრწყინვალე დღესასწაულთან ერთად საშვალება მომეცა მივულოცო ჩვენს მკითხველებს „ახალი სიტყვა“, ახალი პირველთქმა ახალი აზრები, ახალი რწმენა.

შემთხვევას ვუმადლი მე და საჭიროა თქვენც დაუმადლოთ, თორემ შეუმჩნეველი გამომეპარებოდა ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის მრავალ მხრივ საყურადღებო და ღირს შესანიშნავ „სიტყვა მუსიკობია“. მე გადმოგცემთ თქვენ დაახლოვებით იმ „ახალ სიტყვას“, რომელიც მოვისმინე და ვისაცა აქვდენ ყურნი სმენად ისმინენ. და იყოს თქვენზე კურთხევა ქაოსისა.

„ეს ქაოსი კი წინეთ არ არსებობდა. წინეთ იმ ალაგას, სადაც დღეს ქაოსია, ტახტი იდგა და ზედ ცხრათავიანი ღმერთი იჯდა. იჯდა არხეინათ, გადასცქეროდა რიონის ჭალებს და ჩიბუხს ეწეოდა. მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია. ას თავიან ღმერთს ჩამოეძინა, ძილში რაღაც ახირებული სიზმარი ნახა, შეშფოთდა და ტახტიდან ჰაერში ბრაგვანი მოადინა.

მავნე ეშმაკსაც სწორეთ ეს უნდოდა. იგი დროს ელოდა, რომ ცხრა თავიანი მბრძანებელი როგორმე მოეშორებია და რაკი ტახტიდან გადმოგდებული და ისიც მძინარე ნახა, ეძგერა, დასტაცა ქეჩოში ხელი, ამოიდო ქვეშ, ჯერ კარგა გაატატაშა ცომივით, მერმე გამოაცხო, მტვრად აქცია, შეუბერა სული ტ მოჰფინა მთელს სამყაროს. ასე გაჩნდა ქვეყნათ ქაოსი. (მხურვალე ეპოლოდისმენტი)

ამგვარათ ცხრა თავიანი ღმერთი მიეცა სატანჯველს, ხოლო დემონი კი სიხარულს. გაქაოსებულ ღვთაებას კვლავ მოესურვა ნამცეცების შეერთება, ისევ მრავალსახიანად გახდომა, ტახტზე ასვლა და ამგვარად არქიელის გორაზე წამოსკუპება. ამ კანონიერ სურვილს შეერთებისას წინ ელობებოდა ეშმაკი და ამაში იყო ტანჯვა ღვთაებრივი ქაოსისა. (მხურვალე ტაში)

მიუხედავათ ამ წინააღმდეგობისა, ღვთაებრივმა ქაოსმა მაინც მოასწრო ნაჭერ-ნაჭერ შეერთება და ამგვარათ წარმოიშვა ჩვენი ედა-მიწა. რადგანაც ედა-მიწის უპატრონოთ დატოვება არ შეიძლობოდა, დაჰკრა ჯოხი და გააჩინა ორი ცხოველი, რომლებსაც ადამიანი ეწოდება. ერთი ამათგანი გამოდგა ქალი (ევა) ხოლო მეორე ვაჟი (ანთიმოზ). თანახმად ღვთაებრივ ქაოსის ნაწილთა მიდრეკილებისა, ახალ გაჩენილ ცხოველთა შორისაც დაიბადა ლტოლვა შეერთებისადმი, რომელსაც ეწოდების სიყვარული. (დაუსრულებელი ტაში).

ეშმაკს აქაც შეშურდა გაღვთაებრივება ორი ნამცეცისა ტ როცა ქალ-ვაჟნი შეერთდენ, დაჰკრა ლახვარი და მყის განაშორა ისინი. აქედან დაიწყო, ადამიანთა წარმოშობა და „რაზოდები“ (მქუხარე ტაში)

მალე ამის შემდგომ ხალხმა დაიწყო გალობა. გალობდა და მღეროდა ყველა ერი, მაგრამ ყველაზე მეტად გამოერჩია ქართველი ერი. მან შეჰქმნა მეათე სიმფონია, რადგან მეცხრე უკვე დაეწერა ვიღაც უცხო ტომის კაცს. დღემდე ქართველ მუსიკას არავინ ელტვოდა. დღეს კი მე ჩავსწვდი იმის სიღრმეს. დღეს მე უნდა ვსთქვა რაიმე ახალი, უმაღლესი, და ვაი არს მისდა, რომელსა აქვნდეს ყურნი სმენად და არა ისმინოს.

მაშ ეხლა ქაოსისაკენ! ვაი არს ჩვენდა, რამეთუ არა ვხედავდეთ მას უხილავსა! ვაი არს ჩვენდა, რამეთუ არა გვეხელემწიფების მიწდომა მისი რაოდენი არს ცათა შინა ზე, ქვეყანასა ზედა ქვე წყალთა შინა და ქვეშეში ქვეყნისა. ვაი არს ჩვენდა, რომელთა ვერა ვიხილოთ შეერთება ქუცმაცებისა და ძალთა ქაოსისათა. ეჰა, ეჰა, ეჰა! მზე დიდებისა აღმობრწყინდა და ვსცან მე ღმერთი ჩემი და მოგიწოდებთ თქვენცა ქაოსისაკენ! (ხანგრძლივი ტაში),

ლექცია მქუხარე ტაშით და დიდებული ოვაციით დაგვირგვინდა. მადლიერ საზოგადოებაზე ლექციამ ქაოსის შესახებ შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის ყველანი თავქაოსიანი და მხიარულნი დაიშალენ.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე ვრცელი თქმულების ესდენ შემოკლებისათვის, მაგრამ ხაზს ვუსვამთ, რომ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის და შაირია ამად კარგი“..

ვულოცავ ჩვენს მკითხველებს თანახმად ახალი სიტყვისა:

— ქაოს დადგა!

— ჭეშმარიტათ დადგა!

მორიელი

სააღდგომო.

ვით ბედნიერ „ჩინოვნიკსა“
ახალისებს თვისა ოცი,
(თუ თვინიერ ჯამაგირის
სხვაც ბევრი აქვს ასაოცი.)
ესდენ მტანჯავს, მე უბედურს,
ეგ მილოცვა სააღდგომო...
სიტყვა უნდა დაითვალო,
აზრი უნდა გამოზომო.
აღარც ვიცი ვის რა ვუთხრა,
ვის ვაამო, ვის ვაწყინო...
ვინ მწარ ფიქრებს გავატანო,
და ვინ გულით მოვალხინო.

—

პირველ ყოვლის, ბატონ **კოტე ფოცხვერაშვილს** უნდა ვკადრო:
—არ შეგფერის ბეთხოვენსა
ეგზომ თავი გაუყადრო!!
მუსიკოსი იყო... მაგრამ...
ვითომ რა ჰქნა ამის ფასი?
ჩვენს მივარდნილ სოფლებშიაც
მისთანები გვყავს ათასი.

—

„ყანწისტებსა“ და **„ყანწისტკებს“**
ცისფერს,
მწვანეს,
ყვითელს,
ლურჯებს
მშობლიური „ფუტურიზმის“
სახელოვან ქართველ ბურჯებს,
დუჟინ მახათს მივულოცავ,
გამონაწრთობს „ბინძურ მზისა“,
რომ მოცლილ დროს ივარჯიშონ
მათ, თანახმად ანდაზისა.

—

ორი სიტყვა რო არ ვუთხრა
ბათუმის მხრის იჯარადრებს,
იწყენენ. და მათგან ვინმე
საყვედურსაც შემომკადრებს.
—მე თქვენს ბადალს ვერა ვხედავ
ჯოჯოხეთის ბჭეთა მცველად...
მაშ გილოცავ ქართველ მუშებს
საუბლეფათ და საძარცველად.

—

ჭეშმარიტად მიელოცვის
ქალაქ **ფოთის შანტაჟისტებს,**
რადგან მაინებრ ბედნიერი
სხვა ჩვენში ფეხს არ აბიჯებს.
მათ ხელშია სავსე ქისა
ფოთელ ვაჭარ-ბურჟუების,
რათა სრული იმედი აქვთ
პოლიციელთ უჭკუობის.

—

ჯერ პირის პირი ვერსად ვნახე,
თუმც ვეძიებ რახანია
სამტრედიის "ფურთხიაძე*)"
ჩვენი **ბესო ფარცვანია.**
მაგრამ ამ დღე კეთილებზე
რო არ დამრჩეს გულნაკლულად,
პეტრეს ქოშებს და კალოშებს
მივართმევ, თუნდ მოხრაკულად.

— . .

სიკვდილის ნაამბობი.

პატრონაში რო ჩავძვერი
არავის არ შეუტყვია...
ზედ წამალი დამაყარეს,
და დამხურეს თავზედ ტყვია.
გამოაღეს თოფის ლულა
და ჩამკეტეს ვიწრო ხვრელში,
არ იფიქროთ, თავი მეგრძნოს
შავდღესა და განსაცდელში.
ვიჯექი და ვოცნებობდი
ბნელაში, ხმა გაკმედილი:
— ნეტავი თუ სად წამიღებს
ტყვია ეგ სულ წაწყმედილი!
დამკრეს თავში რკინის ნემსი,
მყის დაჰკვესა ნაპერწკალმა...
გულში მტრობა ამიდუღდა
და იფეთქა ცეცხლის ალმა.
შურის გრძნობით ანანთები
მოვსწყვიტ ლულას ღრიანცელით
და გავფრინდით ფრთაგაშლილი,
სასიკვდილო შავი ცელით.
და ბრმა ხელმა განგებისამ
ჩვენ იმ გულთან შეგვაერთა,
სადაც, თოფქვეშ, აღდგომაზე
ოცნებობდა დედის ერთა.

—კი.

*) „ფურთხიაძე“ რუსეთის ცნობილი ადვოკატი „Плевако“-ა.

გურული სცენა

(სააღდგომო სკეუთარი ამბავი)

ეი დედასა, რა საქონელია სწავლა! ტყულათაი ინჩი რომ მცოდნოდა ჭოროხში რომ ვიყავი, ხელათ ვიგდებდი ტაბელჩიკობას, ან დესიატნიკობას ხელში და დღეს ღოსპოდინ ბალატი ბურჟუა ვიქნებოდი. აბა რა დიდი საქმე უნდოდა პალუჩკაზე ჩამუუკაკალებდი მკვდრის და ცოცხალ მეზობლების სახელებს და კაპეიკსავით შუუქანებდი კუდს, მარა რალაი? რაცხა ორი გროში ვიშონე—ამას, ამას, და დამშპა ხელიდან და ამ სააღდგომოთ მაინც დავრჩი ყობოსავით, რას ფიქრობ, სააღდგომოთ რომ შიშველი დაგვტიო, გაგიჩენ ნაფირს ნაბურავშიო,—დამიცეცხურა ქალმა, შემაქცია პირი და მიჩვენა ზრუგი—ჰეი ძმავ, ან სიკვტილი, ან სიცოცხლე მეთქი, და მოვშპი ტყისკენ, წუურაკუნე თავი, უძგარუნე და უძგარუნე, ვხერხე და ვხერხე, ვთრაქე და ვთრაქე, დავძახე მურვანიძის გებენი შპალებით და ვკარი თავი პალიასტომში. აი იქით, აი აქით და ზე ამოვყევი თავი ღოროდ ფოთში. დედავ, გამიხარდა რომ მშვიდობით გნახეო მომაშურა აქით გიორგიმ, იქით სოლომონმა: მალადეცო და დამითათუნეს ზრუგზე ხელი. ჩემს უმფრო შპალების მშვიდობა გაგიხარდენ, გული თვვენ და ქერქს ჩვენ გვაძლევ მეთქი, გავიფიქრე გულში, მარა ვაჭრული ანგარიშია და მეც ვუჩვენე თეთრი კბილები. აქეთური, იქითური და ჩემი ბატონი შენ ხარ და ერთ თეთრ კუდიან ასიანს თავი ვატიკვიე ჯიბეში. შხანკოლავ, დევიკარგეთ კაცი, ჩვენი ბინა საღორეს გავს, ჩვენდა არ არის გაზეთი, არაა აბანო, არაა მუშების მიღებ გაშობა ნაცდურის მაგიერ ქიშვარდია კეკელიძემ დამარცხებულ მუშას დაენთო რჯღაით და იმდენი აგინა, რომ ჰაერი ააყროლა—მარა ჩვენდა პატრონი არაა. მოგვეხმარე ეშმაკის წყალობა მათრახი ამ სააღდგომოთო მომახსენა მუშების დეპუტაციამ. აგვიკლო ზოგიერთმა უპრავის დუმის წევრებმა, გეიშავეს პირი, დეისხეს თავზე ლაფი, რას სჩადიან არ იციან, კოოპერატივს აგერ ზეააღლეტენ ისთევლე სახლს და ფურნეს, მოგვაშველე ეშმაკის წყალობა მათრახი ამ სააღდგომოთო, მომახსენა ქალაქის დეპუტაციამ, მარა დიახაც ვერა! თქვენ თავს თვითონ ეპატრონეთ, თვარა თქვენდა არც ეშმაკს სცალია ამ ვაინზე და არც ღმერთს მეთქი და დავაყარე შინისკენ გზას ბარაქა. მივალ და ვფიქრობ: ქვეყნის ოჯახი კი ინგრევა, მარა კარგათ წევიდა ჩემი საქმე, ბაღნებს გამოვეპლავ და ჩემს ხანუმას რას უზამ არ იკითხავთ. უყიდი, მარა რაფერ პოლსაპოშკს ხომ არ იცით, ქუსლი ანტე ქრისტეს უგავდეს, დუნჩი ღლანს და ცხვირი ბრესლაუსავით ქონდეს აბზეკილი. კაბას შეუკერავ, მარა რაფერს! ტყუილათ ფეხებს ვერ აბიჯებდეს. თავზე დავახურავ, მარა რაფერს? თუ იცი ერთი გორიცაი ბურდღა და ბალახები ებნიოს ახლა წავცხებ წამოვცხებ მივაშხურებ მუვაშხურებ, ერთი სიტყვით ისე გამოვპრანჭავ რომ ალი და კვალი ბულვარდის ქალებს რომ წინ დუუყენო ვერ გამეიცნა. აბა სტოლს ნუღარ იკითხავ. იმისანას მოვკაზმავ რომ ხვოსტოვსაც არ დუურჩეს ჩემისანაი და გადავაყრი დუშმანებს ბდღვირს თავზე. ამ ფიქრებში შვლეჭა მუადინე ჭიშკარში. ნენა, ბაბაი ბაა მოსულა ჩემი სულიკელა ვირიკელაი, შემოფეთილა ქალი და ბაღანაი; მეც მუუსვი ყველას თავზე ხელი, პაწაი წევიხეფსე და გავსწიე ლანჩხუთისკენ სავაჭროთ, ვირბინე და ვიგლიჯინე ამ დუქანში, იმ დუქანში, აბა გვარჯალაძე, აბა ებრალიძე, სიხარულიძე, ამნაძე, მარა ყოლგან ყოლიფერს გასჩენია ნაფირი, მათ ნადუქნარზე დამესოს რჯღაი ხაპიზა რალას ვიზამდი ჩემი ასი ტლიკვის ნავაჭრი მოვკარი ერთ პლატუკაში და გამოვბრუნდი შინისკენ. ოსმალეთისავით დაღვრემილი და საბერძნეთ რუმინიასავით დაფიქრებული. ვაი, ამ მოსწრებას, გეიარა წყალში ჩემი ნაფიქრები, ჩემი ბატონი შენ ხარ და ახლა ყველაყაი მიხვდები, ჩემსას აღდგომა გათენდებოდა თუ შავის ყველიერი და ვინც არ დამიჯერებ შენსას ამ გაის ამისანაი.

შხანკოლა.



ხანოვაგეთა ქება.

გოჭმა სთქვა, მე ვარ პირველი
ამა აღდგომის კვირესო
წინეთ გვმუსრავდენ უღმერთოდ
დიდსა, საშვალოს, მცირესო,
ვენაცვალე ომის მომგონს
ამ დროთა სიდუხჭირესო
დღეს მეტი ფასი დამედო,
ყველგან ვერ დამაჭყვირესო.

გამოეძახა **ბატკანი**:
ღრუტუნავ რას იკვეხიო,
მაგ მურტალ დინგის კორტოხზე
კი დაგაყარე მეხიო.
ურცხვად ივიწყებ სიმართლეს
ერთხელ თუ გამომესიო,
მაკვირვებს ჩემსა წინაშე
როგორ წამოდგი ფეხიო.

აქ **ინდაურმა** დაასკვნა
რომ მოხსენება სჭირია,
გაშალა ბოლო აფრები,
დაბლა დაუშო ცხვირია,
და სთქვა:—მაკვირვებს ჰეშმარიტ
მე თქვენი ანახირია,
დღეს ჩემი მოძმე, ხომ იცით
ხუთმეტ მანეთზე ძვირია?

ქათამმა დაიკრიახა:
აბა რასა გავს ეგაო,
თქვენ დიდკაცები გეტრფიან,
მე კი უბრალო, ლეგაო,
თითო კვერცხს თითო აბაზათ
გავყიდი ხვალ თუ ზეგაო;
თქვენ არას გარგებთ ამ ჟამად
ნამსახურების ქექაო.

აქ **ქართოფილმაც** იკადრა
სიტყვისა შემობრუნება:
—ვერ ხედავთ, პატივცემულნო,
როგორ იცვლება ბუნება?
ჩემდა საძებრად ათასი
ვაგონი, ეხრაგუნება
(უყვარდეს მოიჯარადრეს
ქანქარით ხელის თბუნება!)

მოლოდინი.

სიძვირე რა ბიჭობაა,
თქვენ სხვა მითხარით ახალი,
თვალ ანამღვრევი სისხლისვან
განზე იძახის **ჭარხალი**
რაზე ტრაბახობთ არ ვიცი,
მომწყინდა თქვენი ყანყალი,
მე დიდკაცებიც მეძებენ,
არა თუ ბაზრის ბაყალი.

გამოჩნდა აღა **კომბოსტო**
(ისიც ხომ უცხო ხილია!)
დიდკაცურ დინჯად ახველებს
სტაფილო მოღრეცილია
არხეინათ ზის **ნიორი**
ფეხი-ფეხ გადაჭდილია,
ხახვი ბოლოკთან ბაასობს
კილო ხმა გამოცვლილია.

პასკა ისე დგას, წარბ შეკვრით
ვით ციხე მიუდგომელი,
მედიდურება ეტყობა,
შაქარსაც განუზომელი,
ღვინიან ბოთლსა სიურცხვე
სჩვევია დაუცხრომელი
სულ ავარებთან ცუღლუტობს
არ ახსოვს ხალხი მშრომელი.

ლობიო.



საღდგომო მისალოცი, ქალაქის მამებს.

პარაბოლა

I.

პირველი ოპერაციით
დოსტაქარმა მოსჭრა ძვალი
და შეუქმნა განუკურნავს
მაცდური და ტურფა ქალი.
ეს დიდი ხნის ამბავია
და ამბავი ლეგენდური,
ჩვენ არც იგი კაცი გვინდა
და არც ქალი ლეგენდური.
არამედ ის მოგრძო ძვალი...
დოსტაქარის მონაკვეთი.
(პირველი და ბოლო ასო
არ გვჭირია არცა ერთი)

—

— რაა ყოვლის უტკბოსმწარე?
მეფემ ჰკითხა მემკვიდრესა,
და კითხვაზე მოხდენილმა
მუნ პასუხმა დაიკვესა.
მინდა დღესაც მოინახოს
ის ორგანო მცირე, რბილი
ქვეყნად ყოვლის უმწარესი,
თან სიტკბოზე უფრო ტკბილი.
მხოლოდ მისი ბოლო ასო
შევაბრუნოთ თავდაყირა
(როგორც ხედავთ დრო და ხარჯი
ამან ცოტა შეიწირა!)

—

და აი, თქვენს თვალთა წინა
დაიხატა შვიდი ასო,
რაც თვალსა და ყურში ხვდება
დღეს მთელ მკითხველ ქვეყანასო.
პაწაწინა ქალაქია
მთის კალთებზე განაშენი
სიტურფით და სილამაზით
თვით ბუნების დამამშვენი.
დღეს კი ცეცხლში გახვეულა
მისი ქუჩა, მისი მთები
აღდგომის კვერცხს მოგვაგონებს
სისხლში წითლად შენაღები.

კოდო

II

უ^ცროსი თითის სახელსა
როს ჩვენ დავსწერავთ მთელადა
მისი მესამე ანბანი გვექნება
გვექნება წასაშლელადა.
მერმე კი გემი მოვნახოთ
პატარა ჰქონდეს ტანია,
უჯავშნო იყოს არ ედგას
ზედ მძიმე ზარბაზანია.
არ იყოს სწრაფი მავალი
ზანტად სცურავდეს ზღვაშია,
არ ჰყავდეს ტოლი, ნაღმების —
დაჭერა შენახვაშია.
იმის სახელზე უშიშრად
მივიდეთ იერიშითა
შემოუაროთ ზურგიდან
(ხეედრული ანგარიშითა)
ვეკვეთოთ, სამი შევმუსროთ,
კვალი გავაქროთ მათია
ოთხი კი პირველს მივაკრათ
საღი და სალამათია...
განსაკუთრებულ წრისათვის
იგი საბჭოა ერთგვარი
წრის ყველა წევრის სურვილით
ამორჩეული შემდგარი.
საჭირბოროტო საკითხებს,
საქმეებს **საზოგადოსა**
ის არკვევს თითოეულად
აძლევს ტონს სათანადოსა.
მით ძლიერია იგი თვის
გავლენის გამომსახველად,
თუ „ცენტრალურიც“ აგრეთვე
მას ეწოდება სახელად.
საჩქაროთ მასაც ვეძგეროთ
ნუ დავაყოვნებთ წამია
და ჩავამტვრიოთ წინიდგან
კბილები ბარე სამია.
ხუთი დარჩება უვნებლად
შევიპყრათ იგი ხუთია
მით მოთავდება შარადაც
არ უნდა ვარაუდია.
მივიღებთ სიტყვას, რომელიც
მრავალსა დიპლომატებსა
ზოგსა უქარვებს ჭირსვარამს
და ზოგს კი უფრო ჰმატებსა.

მის დარღვევისთვის, დაცვისთვის,
ბევრი მოელის „ნობათსა“
და გულის ძგერა-ფანცქალით
შესცქერის აწმყოს, მყობადსა.
ჩვენი სოფლების ზოგიერთს
„ინტელიგენტურ ძალებსა“
(მუდამ უფროსის წინაშე
ქედ მოხრილ მაჩანჩალებსა,)
თუ სადმე საქმე სახალხო
ექნება განზრახულია
იმისი დაცვა ერთგულად
მიზნათ აქვთ დასახულია.

კვახი

რა მაცინებს?

(მიბაძვა „რა მასმევს ღვინოს“-ი)

დიდი და პატარა ჩამციებია:

„კაცო, რა ეშმაკი და ქაჯი გიღიტინებს, რომ მაგრე გადიხარხარებ ხოლმე ხან და ხანა. გიჟი ხომ არა ხარ, რომ შუა ქუჩაში შეჩერდები, მუხლებზე ხელებს ირტყამ და ხარხარებ?“.

ჰმ! რა მაცინებს?

შენ ისა სთქვი, რა არ მაცინებს, თორემ სასაცილო ბევრია ჩვენ ცხოვრებაში.

რა მაცინებს?

რა და შენი „ზრასტი“, „დასვიდანიე“, ,,პოჟოლუისტა'', ,,ვინავატ'', ,,შტოტიკოი'' და შენი დედა ენის დავიწყება მაცინებს! რა უნდა მაცინებდეს.

რად ვიცინი?

რადა და იმიტომ, რომ თვალ-წინ მიდგას „ცისფერ-ყანწისტების“ ალმანახი თვისი ნახევრად ცარიელი ფურცლებით, რომელნიც სწორეთ კრიტიკოსის შხამიანი კალმისათვის არიან დატოვებულნი.

რა მაცინებს?

რა და ინდაური! უბრალო, ორფეხი ინდაური, რომელიც აღდგომის წინეთ თვრამეტ მანეთად დამიფასეს ბაზარში! მოდი და ნუ გაიცინებ, ჩემო კეთილო.

რა მაცინებს?

რა და ყველაფერის სიძვირე, ადამიანის სიცოცხლის გარდა! ყველაფერი ძვირდება, ძმაო-ჯან, და კაცის სიცოცხლე კი იაფდება: ბრძოლის ველზე უზანთულიანი ტყვიის გასაცვებლად-ღა ფასდება.

რა მაცინებს?

რა და საათობით ყურყუტი ტრამვაიში ადგილის შოვნისათვის ,,ზემელის'' აფთიაქთან, მიხეილის პროსპექტზე, ერევნის მოედანზე და მუხრანის ხიდთან. როდესაც ხუთი საათი გაივლის თავისუფალი ადგილის ძებნაში და შემდეგ იძულებული ვარ ფეხითვე გაუდგე გზას, მაშინ ისეთი სიძლიერით და სიმწარით გადვიხარხარებ ხოლმე, რომ ეტლში შებმული ცხენები ფრთხებიან და მალაყს გადადიან.

რა მაცინებს?

რა და შუბლზე კოპი, კეფაზე კოპი, საფეთქელზე ბუშტები, ჩამტვრეული წიბოები, ნაღრძობი ფეხი და მოტეხილი ხელი, ღამე ქალაქის განაპირა ქუჩებში სიარულის დროს შეძენილნი, ქუჩების მეტის-მეტი განათებით და ქვით მოკირწყლით.

რა მაცინებს?

რა და ქალაქის ონკანიდან გამომდინარე გათვეფილი ტალახი, რომელსაც ჩქარ-ჩქარა მივირთმევ წყლის მაგივრად და თან ვფიქრობ, თუ რომელი ავადმყოფობა შეგვეყრება ხვალ: შავი ჭირი. ხოლერა თუ სახადი! ძმაო-ჯან, მოდი და კბილების ღრჭენით ნუ ჩაიცინებ!

გუგული.



ფ ო თ ი.

(სააღდგომო მილოცვები)

უპრავას.

რომ, ეშმაკი დღესასწაულს
მხიარულათ მიგაგებოს,
თქვენი მოქმედების სიას
მასვე უდვენ „სანაქებოს“.
მოგილოცავთ ტყის გაჩეხას,
როცა შეშა, ძვირათ ღირდეს,
ქალაქს ფიჩხიც აღარ დარჩეს
თუმც სიცივე გაუჭირდეს.
ის კი, სხვებმა დაირიგოს
რაც კი დაგრჩათ გაუჩეხი,
თუ ვინმემ სთქვას „ჩემიაო„
მოუწერეთ თქვენ, ხელ-ფეხი.
ქალაქს ვალში აცურავებთ,
სალაროშიც არ გაქვთ გროში,
დახმარების მაგიერათ
ხალხი ბევრჯერ ამ შავ დროში.
ტალახიან ბნელ ქუჩების,
გაშრობა და განათება
გრძელი ვადით გადადევით,
სანამ იყოს თქვენი ნება.
მართლა ფული რომ მოკრიფეთ,
(ანთიმოზ და ერისტიმა)
ან სინათლე და ან ფული,
დაგვიბრუნეთ აწი ჯიმა.
საიჯარო საქმეს რომ სცემთ,
ნუ უყურებთ „ნათელ მირონს“
თუნდაც საპატიო პირთა,
მოციქულმაც მოუხშიროს.
რომლის ერთი მაგალითი,
ეხლანდელი ტრამვაია
შარშან **ოთხათ** „ძვირი იყო“
წელს კი **რვათაც** „ვავაია“?.
ტაძრის წინ რომ ფაცხა დადგით,
ხათრი არის თუ კანონი?
იჯარა და ჯიმალობა
არ ივარგებს ერთად მგონი.
შავი რაზმის არტელს ადგენთ,
წინაალმდეგ მუშებისა,
თქვენ აშენებთ, მარა იგი
შისით დაიფუშებისა.

აფთიაქის საქონლები,
აწერით, რომ ჩაიბარეთ,
შეფასების კომისია
რატომ აღარ დაიბარეთ?.
ნუ თუ ძველი საქონელი
მართლა **ერთი ასად ღირდეს,**
და ახალი შეფასება,
გერზევსკიმც არ გაგიპირდეს.
რადგან უჯობს ფას უთქმელათ,
ასი ერთად ჩაიბაროს,
რომ „ბოძალი“ აფთიაქის,
უფრო მალე მოაგვაროს.
კუნძულზე, რომ დაიფუშა,
უსაჭიროესი ხიდი,
ზედ მიმოსვლა აღარ ხდება,
სირცხვილია თქვენთვის დიდი.
რა უყავით დაპირებას,
არჩევის დროს თქვენი ფიცის,
ოუ არ ახდენთ, რას აკეთებთ,
ეშმაკმაც რომ აღარ იცის?
მარა როგორც ნათქვამია,
„სად როგორი ერიაო,
ისეთივე წირვა-ლოცვა,
ისეთივე ბერიაო“.
„უტუ“ ამბობს ვე ვარჩიე ამისანა მამებიო,
მარა ეხლა უნდა შევქმნა, მათთვის ცუდი წამებიო

—

არტელის მუშებს:

ავანგარდათ ითვლებოდი,
ასრულებდით წმინდა ვალსა,
მარა დღეს კი, უძლევიხართ,
საზოგადო ცოდვის ბრალსა.

კერძო სამუშაოს მუშებს:

მუდამ რყევას განიცდიდით,
უჯგუფოთ და უკავშიროთ,
უსაყდროთ და უხუცესოთ,
თქვენ გაცხონოს რაც თქვენ სწიროთ.

მარგანეცის მუშებს:

გაზაფხულ და, გაიღვიძეთ,
გეყოთ ამოდენი ძილი,
ვინც არაფერს არ გიკეთებს,
რატომ მიაქვს ორი წილი?.

ვაგზლის მუშებს:

სანამ გინდათ, რომ გაუძლოთ,
დღე და ღამე ზღაპრულ შრომას,
ხელფასს კიდევ მინიმალურს,
მოხელეთა ლანძღვა წყრომას?.

ხე-ტყის ქარხნის მუშებს:

ყველაფერი შეიცვალა,
მხოლოთ თქვენ ხართ ძველებურათ,
ხომ გაქვთ თვალთა მხედველობა,
მსმენელობა კიდევ ყურათ?.

სათევზოს მუშებს:

აქ სხვებს კიდევ თქვენ სჯობიხართ,
ხშირათ მოგდით ბრძოლის მადა,
ერთ შეტევამ ორი „ფორტი[1])“,
ორ ნახევრად გაგიხადა.

გაზეთების კიოსკს:

გვითხარ ჩვენი რა ბრალია,
სამტრედია თუ გვყავს ჯინში,
მკითხველები, რომ დავხოცოთ
გაზეთების მოლოდინში.

სამკითხველოს.

მუდამ დაკეტილი რომ ხარ,
როდის უნდა იყო ღია?,
გყავს თუ არა მეთვალ ყურე,
აგიც ველარ გაგვიგია.

წ. კ. გამ. საზოგადოებას.

რას აკეთებთ ჩვენ არ ვიცით,
რაც შეგეძლოთ ჰქენით სრულათ:
გადით ხალხში სამოქმედოთ,
ნუ უყურებთ მუშებს მტრულათ.

კოოპერატივს:

იგერიეთ თავდასხმები,
მოსეული შინ და გარეთ,
და აგრეთვე ძველ დავთრებში,
ანგარიში მოიხმარეთ.

წვრილ კრედიტს:

კომერციულ წესზე დგეხართ,
თუ კი ასე გაატარებთ,
წინა წელში ნაწყენ წევრებს,
იმედს ჰგვრით და გაახარებთ.

ვაჭრებს:

ნეტავ როდის აილაგმოს
ეს უძღები თქვენი მადა?
კიდევ რა გსურთ, ხომ წაიღეთ,
ხალხს ჯიბეზე რაც ებადა.

დრამატიულ საზოგადოებას:

სამოქმედო ასპარეზი,
დაიჭირეთ ძლიერ ფართედ,
წარმოდგენა სპექტაკლები,
სანიმუშოდ თუ გამართედ?.

საქველმოქმედო საზოგადოებას:

დამშეულები ამბობენ,
მოგვეველინა „მესიაო“[2])
ჩაგვწერეს და არ გვაძლევენ,
ძლიერ ცუდი წესიაო.

მცხოვრებლებს:

რა დროში ვართ ხომ უყურებთ,
უფრო რომ არ გაგვიჭირდეს,
ერთად-ერთი გზაა; ხალხი
შეერთდეს და შეკავშირდეს.

მკითხველებს:

გამიგრძელდა მილოცვები,
რითაც ვხედავ, მოგაწყინეთ,
მარა რა ქნას ამ „ზღვა მუზამ“
თქვენც თუ აღარ მოუთმინეთ.

ბუტუნა.

[1]) ფორტი—ქანქარი.

[2]) ამათ იმედს არ. ელოდნენ, კიდევ უკეთესიაო.

დეპეშები.

ფოთი. სასურსათო კომისამ საჭიროთ დაინახა ის ათასი ფუთი შაქარი, რომელიც ფოთში საჭიროებისათვის არის ფირმიდან დაკვეთილი სავსებით ადგილობრივ კოოპერატივს გადაეცეს გასაყიდათ და არა კერძო ვაჭრებს. ამავე კომისიამ დაადგინა აგრეთვე ფქვილი რომელიც მთელ ქალაქში საჭიროა და დაკვეთილია პარიზოკის ფირმიდან გადაეცეს ადგილობრივ „წვრილ კრედიტის“ ამხანაგობას საიდანაც პირდაპირ შეიძენს მოვხმარებლები და არა კერძო ვაჭრების ხელიდან. ეს ორი ფორტი ისეთი წაართვა კოოპერატიულმა ამხანაგობებმა ვაჭრებს, რომ დანარჩენი წვრილი ფორტების აღება აწე გაადვილებულია და მცხოვრებლებიც გათავისუფლდება. ვაჭართა ჯარი მამალაძის სარდლობით "წესიერათ" უკან იხევს და ემზადებიან უკანასკნელ შემოტევისათვის დაკარგულ „ფორტების“ დასაბრუნებლათ. ამბობენ „სულ-შემხუთავ“ ნივთიერებასაც იხმარებენო. ამხანაგობების ჯარი სასწრაფოთ ამაგრებს ახალ აღებულ „ფორტებს“ და სრული იმედი აქვთ ვაჭართა შამოტევა სრული დამარცხებით დამთავრდება. ქალაქის თვითმართველობამაც დაარღკია ნეიტრალიტეტი და მოულოდნელათ გამოვიდა კოოპერატივების მომხრეთ ომის ველზე.

იქიდანვე. ერთ და იმავე დროს მთელ ქალაქში ყველა საყავეში მოახდინა რეკვიზიცია ადგილობრივმა მთავრობამ და მთელი ინვენტარი: ნარდი, დომინო, კამათელები და სხვა გადატანილი იქნება „საიმედო“ ადგილზე. ამ გარამეობამ იმდენათ თავზარი დასცა ეგრეთ წოდებულ „კაფეინიის ხალხს“, რომ მთელი ჯარი „ყავეჯების“ მეთაურობით გამოიშალენ ქუჩებში ღა დემონსტრაციებს ეპირებოდენ, რომ მცხოვრებთა სიხარულს და სიცილ-ხარხარს არ შეეშალა ხელი ამ „რევოლიუციებისათვის“. მცხოვრებლებში დიდი სიხარულია ამ მოვლენით და აპირებენ შუადგომლობის აღძვრას სამუდამოთ მოისპოს ეს მავნე დაწესებულებები, სადაც დიდ-ძალი (?) იყრის თავს და ჭკარგავს გონებრივს, ქონებრივს და ზნეობრივ უფლება უპირატესობას.

იქიდანვე. ბ-ნმა გერზეევსკიმ უარი განაცხადა აფთიაქის საქონლების შეფასებით ჩაბარებაზე, რასაც თურმე დიდი „სტრატეგიული“ მნიშვნელობა აქვს აფთიაქის „საბოლოოთ აღებისათვის“. ბ-ნი მხეიძე სასტიკ უარზე დგას და მოითხოვს ქალაქის ქონება შეფასდესო.

იქიდანვე. ის დალაქი, რომელიც „ბოროტგამძრახველმა“ ობოლმა გოგომ „ვაიტაცა“, საპოლიციო ნაწილში აღმოჩნდა მეორე დღეს და ბოქაულს, რომ ზავი არ ჩამოეგდო ომი აუცილებელი იყო. დალაქმა ანექსია უყო გოგოს და პოლიტიკურ-ტერიტორიალურათ თავის მოულოდნელ გვერგვინის ქვეშ შამოიფარა, ობოლმა გოგომც დაჭკარგა მოწინააღმდეგის ძლიერებით დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერა ზავზე.

საგენტო აცხადებს, რომ შანტაჟისტების შესახებ ცნობებს არ გაუშვებს რადგან ზოგი მკითხველი ჩვენს „სპერატოზე“ ლაპარკს ვერ გებულობს სისწორით.

ბუტუნას საგენტო.

მიიღება ხელის-მოწერა 1916 წლისთვის.

ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟუნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ ✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა“ რედაქტორ-გამომც. თეოფილე ბოლქვაძე.

„თიფლისის მზრუნველმა განაცხადა, რომ კავკასიაში უკვე არსებობს მოძრავი სკოლები, რომლებიც მომთაბრე ტომებს გადაჰქვთ ერთი ადგილიდან მეორეზე“.

გაზ. „დენი“

მოძრავი სკოლები კავკასიაში.

გეოგრაფიის გაკვეთილი არ არსებულ კავკასიის მოძრავ სკოლაში. მასწავლებელი არკვევს საძოვარ მინდვრებისა და ხორცის გაძვირების საკითხს.

ნებადართულია სამხ. ცენზ. სტამბა „შრომა“. რედაქ-გამომც. თ. ბოლქვაძე